18/06/2024

MES 5 24 0000684998

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 6 ივნისს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Jun 6, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=86403801147
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი
ელენე გვეტაძე - დირექტორი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ანა ჯავახიშვილი - დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში

შპს გორგია
თორნიკე ტოლიაშვილი - სტრატეგიულიპროექტების განყოფილების ხელმძღვანელი
მარიამ გელაშვილი - გორგია აკადემიის ადმინისტრაციული მენეჯერი
რეზო ბერაძე - LMS-ისა და კურსების გაციფრულების ექსპერტი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ლია ავალიანი
ირმა ღარიბაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „კლასიკური მასაჟი“ /01838/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს გორგიას „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ /01908/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს გორგიას „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01911/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს გორგიას „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01913/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს გორგიას „სახურავის მოწყობა“ /01915/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს გორგიას „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01916/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს გორგიას „ფილებით მოპირკეთება“ /01918/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს გორგიას „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ /01909/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს გორგიას „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01910/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. შპს გორგიას „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01912/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს გორგიას „სახურავის მოწყობა“ /01914/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს გორგიას „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01917/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

13. შპს გორგიას „ფილებით მოპირკეთება“ /01919/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „კლასიკური მასაჟი“ /01838/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 24 აპრილის №461210 ოქმის, „შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „კლასიკური მასაჟი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 24 აპრილის №463365 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის მიერ 2024 წლის 30 აპრილს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული (განაცხადი ID 01838). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 13 მაისის №513991 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ლია ავალიანმა შეისწავლეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა.

პროგრამის შესწავლის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ცენტრის წარმომადგენელმა ძირითადად ისაუბრა წინა ვიზიტის დროს გამოვლენილ ხარვეზთან და გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელებაა „კლასიკური მასაჟი“, პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 18, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კედიას ქ. №7.

წინა ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზი

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ გარემოში შეუძლებელია ერთდროულად 12 მსმენელის მიღება, ვინაიდან არ არის აღნიშნულ გარემოში საკმარისი აღჭურვილობა, კერძოდ, სამასაჟე ტახტი. დაწესებულებამ უნდა შეიძინოს დამატებით სამასაჟე ტახტი, მინიმუმ ერთი, რაც უზრუნველყოფს ჯგუფში 6 მსმენელის მიღებას. შესაბამისად, დარღვეულია აღნიშნული სტანდარტი, ასევე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ გარემოში ვერ მოთავსდება მესამე სამასაჟე ტახტი, ვინაიდან ამ სასწავლო აუდიტორიაში სამი სამასაჟე ტახტი ვერ მოთავსდება.

დაწესებულებამ ხარვეზის გამოსწორების ვადაში შეიძინა ორი სამასაჟე ტახტი, ცალკე გამოიყო A და C გარემო. C გარემოში განთავსდა 4 სამასაჟე ტახტი, შესაბამისად, დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად 18 მსმენელის მიღება, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ფოტომასალით. - **ხარვეზი აღმოფხვრილია**.
როგორც აღინიშნა, წინა ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაციებიც, კერძოდ 1.2, 1.3 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში.
ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს
რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამის თემატიკაში ჩაიშალოს კლასიკური მასაჟის მეთოდები, ვინაიდან შინაარსიდან კარგად არ იკითხება, თუ რომელ მეთოდებს შეისწავლიან მსმენელები. - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია**
ქვესტანდარტი 1.3 – მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან
აღნიშნული პროგრამის მიზანში არ უნდა იყოს ჩანაწერი - „ასევე, პროგრამა ხელს შეუწყობს მასაჟისტთა პროფესიული დონის ამაღლებას“, რეკომენდებულია ეს ჩანაწერი ამოღებულ იქნას პროგრამის მიზნიდან, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, კერძოდ, ეხება მხოლოდ კლასიკურ მასაჟს. ასევე, პროგრამის აღწერის ნაწილში არ უნდა იყოს შემდეგი ჩანაწერი - „კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს რეაბილიტაციის ცენტრებში, სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე“.
რეკომენდებულია ამოღებულ იქნას - რეაბილიტაციის ცენტრებში, ხოლო სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე დაემატოს ასეთი ჩანაწერი, კლასიკური მასაჟის კაბინეტის არსებობის შემთხვევაში, ასევე, სასურველია ადამიანის ანატომიის საკითხების შესწავლა დაიწყოს არა ნევროლოგიით, არამედ ამ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია პროგრამის თემატიკის ნაწილში დაზუსტდეს ის საკვანძო საკითხები/თემატიკა, რაც მნიშვნელოვანია ამ კურსისთვის.
ქვესტანდარტი 1.6 - რეკომენდებულია, აღნიშნული პროგრამის მე-4 და მე-6 სწავლის შედეგის ფორმულირება დაკორექტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.
დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული პროგრამა, წარმოდგენილ პროგრამაში ყველა **რ ეკომენდაცია (ქვესტანდარტები 1.2., 1.3., 1.6.) გათვალისწინებულია**.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პრეზენტაციიდან გამომდინარე, პროფესიული მომზადების პროგრამის სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია, ფოტოებიდან ჩანს, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი და გაითვალისწინა დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს, საბჭოს წევრებს და დასძინა, რომ კომენტარი არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „კლასიკური მასაჟი“ /01838/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს (ს/კ: 202056764) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კლასიკური მასაჟი /01838/ **(დანართი 1)**
.

დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, იქიდან გამომდინარე, რომ შემდეგი საკითხები წარმოდგენილი იქნა შპს გორგიას მიერ ორ ლოკაციაზე - ქ. ბათუმში და ქ. თბილისში, ასევე, წარმოდგენილი პროგრამები იდენტურია, წარმოადგენდა ერთიან პრეზენტაციას ლოკაციების მიხედვით.

2. შპს გორგიას „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ /01908/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს გორგიას „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01911/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს გორგიას „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01913/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს გორგიას „სახურავის მოწყობა“ /01915/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს გორგიას „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01916/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს გორგიას „ფილებით მოპირკეთება“ /01918/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 4 აპრილის №447046, №447042, №447044, №447045, №447043, №447047, ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტმა, მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს შპს გორგიას პროფესიული მომზადების პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ (ID 01908), „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01911/, „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01913/, „სახურავის მოწყობა“ /01915/, „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01916/, „ფილებით მოპირკეთება“ /01918/ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2024 წლის 15, 16 და 17 მაისს განახორციელეს ვიზიტი შპს გორგიაში, მისამართზე ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექვსივე პროგრამასთან მიმართებაში ხარვეზი არ გამოვლინდა, გაიცა რეკომენდაცია 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 2.2. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული მომზადების პროგრამაში, აღჭურვილობის ნაწილში კომპანიას ამ პროგრამისთვის 16 ცალი უსაფრთხოების ქამარია გაწერილი, თუმცა კომპანიამ წარმოადგინა 1 ცალი დამცავი ქამარი პროგრამის ფარგლებში, რაც მისაღებია, ვინაიდან მსმენელებს არ მოუწევთ 2 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მუშაობა პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას. ჯგუფზე 1 დამცავი ქამარი სრულიად საკმარისია, რათა მსმენელმა შეისწავლოს მისი გამოყენების წესები.

რეკომენდებულია - პროფესიული მომზადების პროგრამის აღჭურვილობების ცხრილში მითითებული სიმაღლეზე მუშაობის დამცავი ქამრების (უსაფრთხოების ქამარი ზედა ტანისთვის) რაოდენობა ჩასწორდეს და განისაზღვროს ჯგუფზე 1 ცალი.

წარმოდგენილი პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ , „კარ-ფანჯრის მონტაჟი“, „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“, „სახურავის მოწყობა“, „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“, „ფილებით მოპირკეთება“ პროფესიული მომზადების პროგრამების ხანგრძლივობა ა - 8 კვირა, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 15, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამების განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2.

შემდეგ მან მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტთან დაკავშირებით.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაციით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ.

პროგრამების სახელწოდება შეესაბამება შინაარსს, მიზანი წარმოდგენილ პროგრამებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.
პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება; ასაკი: 18 წელი; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმების გზით. გასაუბრება აპლიკანტებთან ხორციელდება მოტივაციური ინტერვიუს კითხვების მეშვეობით. მაქსიმალური საკონკურსო ქულაა - 18, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 6 ქულა. საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება კომპანიის დირექტორის ბრძანებით. გასაუბრება ტარდება კომპანიაში, სპეციალურად გამოყოფილ გარემოში ან სხვა ალტერნატიულ ფართში კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის მეტი წილი ეთმობა.
შეფასების დროს გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტები, რომელსაც იყენებს მსმენელის შეფასების დროს.

პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.
თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული მომზადების პროგრამაში, აღჭურვილობის ნაწილში კომპანიას ამ პროგრამისთვის 16 ცალი უსაფრთხოების ქამარი აქვს გაწერილი, თუმცა კომპანიამ წარმოადგინა 1 ცალი დამცავი ქამარი პროგრამის ფარგლებში, რაც მისაღებია, ვინაიდან მსმენელებს არ მოუწევთ 2 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მუშაობა პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას. ჯგუფზე 1 დამცავი ქამარი სრულიად საკმარისია, რათა მსმენელმა შეისწავლოს მისი გამოყენების წესები.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა/ანგარიშით.
იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, რაც დასტურდება ინტერვიუირებით კომპანიის წარმომადგენლებთან.
იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რაც დასტურდება დოკუმენტით - პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები.
კომპანიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA) პრინციპით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და კითხვარებით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.3; 3.5; 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არარსებობის გამო ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის დასძინა, რომ საინტერესოა ამ დარგის პროგრამების ბაზარზე შემოსვლა და წარმატება უსურვა კომპანიას.
ნინო ბაბალაშვილმა მიმართა კომპანიის წარმომადგენლებს, გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დასძინა, რომ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ცენტში წერილი უნდა გამოაგზავნოს კომპანიამ, პროგრამაში ასახული უზუსტობის ჩასასწორებლად. მან დასძინა, რომ კითხვები არ ჰქონდა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ /01908/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა /01908/ ქ. ბათუმში **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01911/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კარ-ფანჯრის მონტაჟი /01911/ ქ. ბათუმში **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01913/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სანტექნიკის სისტემების მონტაჟი /01913/ ქ. ბათუმში **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „სახურავის მოწყობა“ /01915/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სახურავის მოწყობა /01915/ ქ. ბათუმში **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01916/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია /01916/ ქ. ბათუმში **(დანართი 6).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „ფილებით მოპირკეთება“ /01918/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფილებით მოპირკეთება /01918/ ქ. ბათუმში **(დანართი 7).**

8. შპს გორგიას „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ /01909/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს გორგიას „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01910/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. შპს გორგიას „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01912/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს გორგიას „სახურავის მოწყობა“ /01914/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს გორგიას „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01917/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

13. შპს გორგიას „ფილებით მოპირკეთება“ /01919/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 01 მაისის №485631, №485630, №485629, №485633, №485628, №485627, ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტმა, ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს შპს გორგიას პროფესიული მომზადების პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ (ID 01909), „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01910/, „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01912/, „სახურავის მოწყობა“ /01914/, „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01917/, „ფილებით მოპირკეთება“ /01919/ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2024 წლის 22, 23 და 24 მაისს განახორციელეს ვიზიტი შპს გორგიაში, მისამართზე ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 273ა.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.
როგორც ბათუმის ლოკაციაზე, ქ. თბილისში ვიზიტის დროს, კომპანიაში, ექვსივე პროგრამასთან მიმართებაში ხარვეზი არ გამოვლენილაა, გაიცა ანალოგიური რეკომენდაცია 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში.
სამივე სტანდარტის ქვესტანდარტები შეფასდა ანალოგიურად, როგორც ქ. ბათუმის ლოკაციაზე, ვინაიდან იდენტური პროგრამები იყო წარმოდგენილი ქ. თბილისში, პროგრამების პარამეტრები ამ შემთხვევაში იყო ანალოგიური.
დარგის ექსპერტმა, ასევე, წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, განმახორციელებელი პირები ორივე ლოკაციაზე, ქ. ბათუმში და ქ. თბილისში ერთიდაიგივე იყო, თუ ადგილობრივი პირები იქნებიან პროგრამის განმახორციელებლები, რაზეც კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ორივე ლოკაციაზე ერთდროულად დაიწყებოდა სწავლება, სავარაუდოდ, ივლის-აგვისტოში, კომპანია 100-მდე მსმენელის მიღებას აპირებს, შესაბამისად, განმახორციელებელი პირებიც იყვნენ შერჩეული ლოკაციების მიხედვით.
შემდეგ მან მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და ასევე, საბჭოს ასეთი დამოკიდებულებისთვის, ვინაიდან მათთვის ეს ახალი გამოწვევა იყო, შესაბამისად კომპანია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ამ წამოწყებაში.
საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა მადლობა გადაუხადა კომპანიას ამ წამოწყებისთვის, აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი დამსაქმებლის ჩართვა ამ პროცესში. აღნიშნა, რომ ნამდვილად არის დეფიციტი ამ დარგის სპეციალისტების, კიდევ ერთხელ უსურვა წარმატება და მიმართა კომპანიის წარმომადგენლებს, რომ მიესალმებოდა, თუ კომპანია მიმართავდა სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დაფინანსებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ /01909/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა /01909/ ქ. თბილისში **(დანართი 8).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „კარ-ფანჯრის მონტაჟი“ /01910/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კარ-ფანჯრის მონტაჟი /01910/ ქ. თბილისში **(დანართი 9).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „სანტექნიკის სისტემების მონტაჟი“ /01912/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სანტექნიკის სისტემების მონტაჟი /01912/ ქ. თბილისში **(დანართი 10).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „სახურავის მოწყობა“ /01914/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სახურავის მოწყობა /01914/ ქ. თბილისში **(დანართი 11).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია“ /01917/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია /01917/ ქ. თბილისში **(დანართი 12).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიასთვის „ფილებით მოპირკეთება“ /01917/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფილებით მოპირკეთება /01917/ ქ. თბილისში **(დანართი 13).**
საბჭოს თავმჯდომარემ მიულოცა და წარმატება უსურვა კომპანიის წარმომადგენლებს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და საბჭოს აპარატს გაწეული შრომისთვის და წარმატება უსურვა კომპანიას. მან განაცხადა, რომ პროფესიული უნარების სააგენტო და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, როგორც აღინიშნა, კომპანიას უცხადებს მზაობას დაფინანსების საკითხში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და წარმატება უსურვა კომპანიას.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 13:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01838	კლასიკური მასაჟი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	10	ქართული	16	ქ. თბილისი, კედიას ქ. №7

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01908	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01911	კარ-ფანჯრის მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01913	სანტექნიკის სისტემების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01913	სანტექნიკის სისტემების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01916	სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01918	ფილებით მოპირკეთება	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 2

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01909	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი 273ა

დანართი 9

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01910	კარ-ფანჯრის მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი 273ა

დანართი 10

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01912	სანტექნიკის სისტემების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი 273ა

დანართი 11

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01914	სანტექნიკის სისტემების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი 273ა

დანართი 12

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01917	სხვადასხვა სახის იატაკის ინსტალაცია	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი 273ა

დანართი 13

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01919	ფილებით მოპირკეთება	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი. კახეთის გზატკეცილი 273ა